საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

სამშაბათი, ნოემბრის 1
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ყრილობა

ოქტომბერს 30.

საღამოს 6 საათია. პარტიის მთავარი ბიურო გაჩირდებულია. მას არაჩვეულებრივი სახე აქვს მიღებული. დელეგატები ჯგუფ ჯგუფად მოდიან.

ისინი უჩვეულო ინტერესით არიან გამსჭვალულნი: გრძნობენ თავისი დანიშნულების სიძნელეს; მიმხვდარან, რომ მათ მისიას პარტიის სისპეტაკის დაკანონება შეადგენს. ისინი არიან პარტიის ისტორიის ახალი პერიოდის დამწყებნი. ახალგაზდობა უჩვეულო აღტყინებით ესწრება ამ ყრილობას. მის ზრახვას დღეს თავისუფალი გასაქანი აქვს. მისი მრწამსი არ განიცდის დღეს არავის ზეგავლენას.

პირველი სხდომა

მერვე საათზე ისმის ზარის ხმა. დრ. მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე, ამხ. თ. ღლონტი, ამავე კომიტეტის სახელით წრფელ სალამს აძლევს ყრილობას, აღნიშნავს ყრილობის დიდი დანიშნულების საქმეს, იგონებს რევოლიუციის დროებს და მასში ჩვენი პარტიის მონაწილეობის მომენტებს. აღნიშნავს ეროვნულ მრწამს პარტიის მოქმედებაში და ყრილობას გახსნილად აცხადებს. ყრილობას ესწრება 55 დელეგატი, უმთავრესად სოფლელი ამხანაგები. კიდევ მოდიან. რეგლამენტის მიღების შემდეგ, ყრილობა ერთხმად ირჩევს პრეზიდიუმს: თავმჯდომარედ ცნობილ მოღვაწეს იაკობ ფანცხავას, ამხანაგებად: პ. კვირკველიას და მ. კაკულიას. მდივნებად: ან. სიჭინაძე, ალ. ბოკერია და ნ. ჩიჩუა. სამანდატო კომისიაში არჩეული არიან: ეფ. ჩახუნაშვილი, ქ. კვირიკაძე და მამულაიშვილი.

არჩევნების შემდეგ ყრილობა იღებს დღის წესრიგს ზოგიერთი საკითხების რიგის შეცვლით. შემდეგ მოსმენილ იქნა დრ. კომიტეტის მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ. მომხსენებლად თ. ღლონტი გამოდის. (მოხსენება ცალკე იბეჭდება) მოხსენების შემდეგ იყო სხვადა სხვა ხასიათის შეკითხვები, რომლის პასუხის შემდეგაც გაიხსნა კამათი დრ. მთავარი კომიტეტის მოქმედების შესახებ. კამათში მონაწილეობენ ამხანაგები: კვირკველია, ამაღლობელი, ბ. ჭერაძე და ჩ. ხაია, რომლებიც აღნიშნავენ როგორც დეფექტებს, ისე დადებითი მხარეებს კომიტეტის მოქმედებაში. რეგლამენტის მიხედვით სხდომა უნდა დახურულიყო და კამათი არ დასრულებულა, გადაიდო მორიგი სხდომისათვის. პირველი სხდომა ღამის 11 ნახ საათზე გათავდა.

პარტიული ყრილობა

ამხ. თედო ღლონტის მოხსენება დრ. მთავარი კომიტეტის მოქმედების შესახებ.

1914 წლის აგვისტოს დრამამ მე XX საუკუნის ცხოვრებაში უმაგალითო, ისტორიული მოვლენა გამოიწვია. ევროპის უმძლავრესი სახელმწიფოები ერთმანეთს დაეჯახა და volens nolens ომში ჩაითრია უამრავი ერები.

ოფიციალური სტატისტიკა გვეუბნება: ომში დაკარგეს.

საფრანგეთმა	1,385,000
ინგლისმა	930,000
იტალიამ	468,000
სერბიამ	370,000
რუმინიამ	240,000
ამერიკამ	152,000
კანადამ	57,000
ავსტრალიამ	56,000
ინდოეთმა	34,000
ბელგიამ	22,000
ახ. ზელანდიამ	17,000
პორტუგალიამ	8,500
სამხ. აფრიკამ	7,000
რუსეთმა	1,700,000 (?)
გერმანიამ	2,140,000
ავსტრო-უნგრ.	943 000
ოსმალეთმა	450,000

ეს ცნობა დაახლოვებითი სურათიც არ არის. 1914—1917 წლების ომი იყო de facto მსოფლიო ომი. ომში მონაწილეობა მიიღო ყველამ რასამ, ყოველმა ერმა, დიდმა და პატარა სახელმწიფომ, როგორც დამოუკიდებელმა ერებმა, ისე დამოკიდებულმა ერებმა.

საქართველოც იღებდა ამ მსოფლიო ომში მონაწილეობას თუმცა ქართველ ხალხისათვის არავის უკითხავს რა მიზანი აქვს მის მონაწილეობას ამ ომში, რისთვის უნდა დაღვაროს სისხლი, რისთვის უნდა იბრძოლოს კარპატებში ან ვისლას ჭალებში.

შემდეგ მსოფლიო ომს მოჰყვა რუსეთის შესანიშნავი რევოლიუცია 1917 წლის თებერვალში. სულ რამდენიმე დღის შემდეგ ქართველმა ხალხმა (მარტის პირველ რიცხვებში) ტფილისში, საბურთალოზე ვეებერთელა სტადიონი მოაწყო სადაც 50 ათასზე მეტმა კაცმა მოიყარა თავი სარევოლიუციო [illegible]. ეს იყო რევოლიუციის პირველი დღესასწაული.

როგორც ომი, ისე რევოლიუციაც ჩვენდა დაუკითხავად მოხდა, ერთი თოფიც არ გასროლილა ისე დაემხო ძველი წეს-წყობილება, ჩვენ კი „გამარჯვება“-ს ვდღესასწაულობდით, როგორც ბრძოლა გადახდილი ალექსანდრე მაკედონელი, ჰანიბალი ან იულიუს ცეზარი.

ამხანაგებო, ღრმად ჩაუკვირდით ამ შესანიშნავ ცხოვრებას და თქვენ აქ დაინახავთ ჩვენი მდგომარეობის მთელ სირთულეს. ომში მივდიოდით ისე, რომ არავინ არაფერს გვკითხავს, რევოლიუციას ვდღესასწაულობთ ისე რომ რევოლიუციის საქმეებშიაც არ ვიღებთ მონაწილეობას. ისე გამოდის, თითქოს რაღაც პრივატი ერი ვიყოთ. თანამედროვე ცხოვრება ჩვენ გაცილებით უდიერად გვეპყრობა ვიდრე ნაპოლეონი თავის სამშობლო აიაჩიოს.

ეს უდიდესი ბარბაროსობა თანამედროვე კულტურის ხანაში ხდება ყოველ დღე, ყოველ საქმეში. ცხოვრება გვათამაშებს ხან როგორც ბურთს, ხან კი ის გვაწვალებს, როგორც ბიზანტიის დამანგრეველი მაჰმადიანობა მართლმორწმუნე ქრისტიანებს.

კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ: ეს ერთი წუთითაც იმას არ ნიშნავს, რომ პატარა ერი ბურთივით საგორებელი დარჩეს მსოფლიოს ბუმბერაზთა სარეცელზე. არასოდეს. ეს იმას ნიშნავს მხოლოდ, რომ პატარა ერს თანამედროვე ცხოვრების პირობებში არ შეუძლია პოლიტიკის წარმოება, ამ სიტყვის ღრმა და უფართოესი მნიშვნელობით. გარნა თვით ეს გარემოება გვეკარნახებს, რომ პატარა ერმა დიდ ერზე მეტად მიაქციოს პოლიტიკას ყურადღება. ქართველთათვის, როგორც პატარა ერისათვის, ეს იმიტომ არის სავალდებულო, რომ პოლიტიკური შეცდომები შეუძლია დაუშვას დიდ ერს, პატარა ერს კი პოლიტიკური ექსპერიმენტები, პოლიტიკური შეცდომის დაშვების საშუალება არ აქვს. არ არის პარადოქსი—პოლიტიკა უფრო ვიწროდ გაგებული, ძალის და [illegible] ფილოსოფიაა უმთავრესად.

1891 წელს ავსტრიელი პროფესორი ეგნერი ამტკიცებდა: მეოცე საუკუნე იქნება უმთავრესად პოლიტიკის საუკუნე. თანამედროვე ცხოვრების საუკეთესო გონებრივი ძალები პოლიტიკას დასტრიალებენ იმ უბრალო მოსაზრებით, რომ დღეს უნდა მიხედს მთელი ჩვენი ცხოვრების გადაკეთება, რადგან სახეს უცვლის როგორც ეკონომიკას, ისე ხუროთ-მოძღვრებას, როგორც გეოგრაფიას, ისე ეტნოლოგიას, როგორც პოეზიას, აგრეთვე სოციოლოგიას.

რთული მომენტი—რევოლიუციაა აზროვნებაში რთულმა მომენტმა ერთი ხელის დაკვრით დაამსხვრია მაგალითად ჰეგელის მთელი შემეცნება, სწორედ ისე, როგორც საფრანგეთის სიმძიმემ ფიხტეს მთელი ფილოსოფია ნაციონალურ პოლიტიკას დაუმორჩილა.

ასეთს რთულს, მეტად მძიმე, უსაზღვროდ მწვავე პირობებში მოუხდა საქართველოს ცხოვრება და პოლიტიკურ პარტიებს ამ პირობებისათვის თავის გართმევა.

1914 წელი მსოფლიოს სოციალისტური პარტიებისათვის იყო გამოცდის წელიწადი. 1921 წელი ჩვენი ერისათვის ასევე გამოცდის წელი იყო. პოლიტიკური პარტიის მოვალეობაა ყოველ მომენტს ართვას ალღო ისე, როგორც გამოცდილი დოსტაქარი ყოველ წყლულს დაუმორჩილებს თავის გონებას და მახვილს.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიისათვის ყველა სხვა პარტიაზე მეტად იყო სავალდებულო ამ მძიმესა და რთულს პირობებში ისეთი გზების დასახვა, რომელიც ქართველ ხალხს მოუტანდა ცხოვრების სარგებლობის მაქსიმუმს.

ჩვენი პარტია არ იყო პასუხისმგებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარი პოლიტიკური გეზისა, როგორც ამ პოლიტიკის ოპოზიციონური პარტია. მენშევიკური პარტია მსხვერპლი იყო იმ ინერციის, რომელმაც ხსენებული პარტია ჩაითრია.

გარდა ამისა მხოლოდ ჩვენთვის იყო უწმიდესი სამლოცველო ქართველ ხალხის საარსებო მიზნები, მხოლოდ ჩვენი აღზრდა, ჩვენი გონება, ჩვენი შემეცნება იყო გაჟღენთილი საღი სოციალისტური ეროვნული სწავლით, ვისთვისაც ეროვნება არ დაბადებულა 26 მაისს (1918 წელს) და ვისთვისაც საქართველო არ მომკვდარა 25 თებერვალს (1921 წელს).

ჩვენ უნდა გადაგვეშალა არსებული სინამდვილის მთელი შინაარსი, ჩვენ უნდა წარმოგვედგინა შექმნილი მდგომარეობის მთელი სიმართლე, მეცნიერული სიზუსტით აგვეწონა მთელი ჩვენი ძალა, გვეცნო საკუთარი თავი, წარმოგვედგინა რაც ვართ, რისი მქონე, რა პოტენციის, რა მომავლის და რეალური პირობებთან სრულიად შეგუებით გვეთქვა ქართველ ხალხისათვის:—აჰა, შენი გზა!

შეიძლებოდა თუ არა 25 თებერვლის ხანაში ეგვიპტეს ან ტრაპიზონის თუთუნი გვეხვია იაპონიის სიფრიფანა ქაღალდში და ბოლთას ცემით გაგვეცა პასუხი შექმნილ მდგომარეობისათვის?

ამხანაგებო, ჩვენი ყრილობისათვის ეს მოხსენება მე მიმაჩნია უდიდეს მნიშვნელობის მოხსენებად. 1918—1921 წლის ხანა, საქართველოს სახელმწიფოებრივი შემოქმედება და ამ ისტორიულ საქმეში ყველა პოლიტიკური პარტიის როლი არა მარტო დღეს არის მთელი ჩვენი განათლებული ხალხის ფიქრის და ზრუნვის საგანი, არამედ მომავალში კიდევ მეტის მნიშვნელობით, კიდევ მეტის ყურადღებით გადაიშლება ეს ხანა ჩვენი ერის ძალების წინაშე და გაჩნდება მათ გარშემო დაუსრულებელი, მეტად საინტერესო და სასარგებლო ბრძოლები.

ამიტომ მთელის ჩვენის შეგნებით, მთელის ჩვენის ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ამ საქმეს და გადავწყვიტოთ, შევაფასოთ: რა გაგვიკეთებია, როგორ გვიმუშავნია, საჭიროა თუ არა ჩვენი მუშაობა ჩვენი ხალხისათვის და სხვა?

ჩვენ გვაქვს გადადგმული მეტის მეტად საპასუხისმგებლო ნაბიჯები, ჩვენს ყოველდღიურს სიტყვას ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს.

რვა თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ტაბახმელას და კოჯორის კალთები ბოლშევიკურმა ძალამ დაიჭირა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ხშირად ვითვალიერებთ ჩვენს ნაბიჯებს, ჩვენს პოლიტიკას და ჩვენი გეზის სისტემატიურად გადათვალიერებისას, ჩვენ სულ მეტის საბუთით, მეტის რწმენით, მეტის ძალით ვრწმუნდებით, რომ ჩვენ მიერ აღებული გეზი ერთად ერთი სწორი გეზია ქართველ ხალხისათვის სასარგებლო.

ჩვენი მოქმედების სისწორეში გვარწმუნებს მოწინააღმდეგე პარტიების ბრძოლაც ჩვენს მოსასპობად. ქართველ ხალხისათვის უდიდეს უბედურებად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ საბედისწერო მომენტში ჩვენი პარტიები ვერ ამაღლდენ პარტიულ ინტერესებზე მაღლა, ვერ დაისახეს ერის სასიცოცხლო ინტერესები უმთავრეს საქმედ, ვერ შეეწირენ ერის მიზნებს.

საბედისწერო მომენტში ჩვენი პარტიის დროშა აუცილებლად უნდა დაიხაროს ერის დროშის წინაშე, ესე იგი ეროვნული საქმე უფრო დიდ საქმედ დავსახოთ, ვიდრე პარტიის საქმე,

ეს რწმენა გვქონდა ჩვენ მუდამ, ეს რწმენა გვაცოცხლებს და გვამოქმედებს დღესაც.

საკმაო არ არის, რასაკვირველია, ძალიან კარგი და ლამაზი აზრი გქონდეს ერის სასიკეთოდ. მოქმედება უნდა იძლეოდეს ქვეყნისათვის სასარგებლო პირობებს. ამიტომ იყო, ჩვენ ვიგონებდით ყველა ჩვენისთანა პატარა ერის ისტორიას. ეროვნულ თავისუფლებისათვის სასტიკ ბრძოლებს და ისტორიულ გაკვეთილებით, თანამედროვე მსოფლიოს მამოძრავებელ მთავარ ძალების გაგებით ვქმნიდით პოლიტიკას სამოქმედო გეზს, რომლის მიხედვით თვით ჩვენვე ვიწყებდით მუშაობას.

ჩვენ ერთი სახელმძღვანელო აზრი გვქონდა საფუძვლიანად გაგებული: ჩვენი პოლიტიკა უფრო სხვა ძალის ხელში იყო. ილია ჭავჭავაძის მიერ ნათქვამი შესანიშნავი სიტყვა: „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვიყუდნეს“. ამაზე ბრწყინვალე მიზანს ერს ვერავინ დაუსახავს, ამაზე ძვირფასს საგანძურს ერს ვერვინ მისთავაზებს. აქეთკენ უნდა იყოს მისწრაფება ყოველ შეგნებულ ადამიანის, მაგრამ რამდენადაც ეს ბრწყინვალეა, იმდენადვე ძნელად მისაღწევი. კიდევ მეტი, თანამედროვე ცხოვრების პირობებში ეს უფრო იდეალი და თეორიაა, ვიდრე ისტორია და პრაქტიკა.

ჩვენ ეროვნული თავისუფლება უნდა მოგვეპოვებია რუსეთის ჟანდარმული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლით, მაგრამ ისე მოხდა, რომ ეროვნული დამოუკიდებლობა მივიღეთ თითქმის უბრძოლველად. ქართველმა ხალხმა იცოდა ეროვნებისათვის ბრძოლა ლიტერატურის მხრივ, მაგრამ ისეთი ბრძოლა, როგორსაც მაგალითად აწარმოებდა და აწარმოებს ირლანდია, ან როგორც აწარმოებდა ამერიკა, ბურები, იტალიელები, ბელგიელები და სხვა, ასეთი ეროვნული ბრძოლა არ იცოდა ქართველმა ხალხმა.

ეროვნული დამოუკიდებლობა ჩვენ მივიღეთ შექმნილ ძალთა განწყობილების გამო, ე. ი. პოლიტიკური სიტუაციის შედეგად, რასაც სრულიად შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ეს იყო უმთავრესი სისუსტე ჩვენი ეროვნული თავისუფლებისა.

პირდაპირ უმაგალითო მუშაობა იყო საჭირო, ისტორიაში თითქმის იშვიათი, შეუპოვარი, დღით დამით განუწყვეტელი საორგანიზაციო სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, რომ სიტუაციით შექმნილი მდგომარეობას მარადიული ხასიათი მიეღო.

სამწუხაროდ ჩვენი ტრაგედიაც იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველო აღდგა, როგორც სახელმწიფო, მაგრამ ის უმთავრესი საზოგადოებრივი ძალა, რომელმაც ეს ისტორიული როლი იკისრა, თვითონვე არ იყო დარწმუნებული რასაც აკეთებდა და თავის პრესაში, კრებებზე, დამფუძნებელს კრებაში მუდამ გაიძახოდა: საქართველოს დამოუკიდებლობა შემთხვევითმა პირობებმა შექმნა, ჩვენ იძულებული ვიყავით გამოგვეცხადებინა 26 მაისის აქტი, მდგომარეობა შეიცვლება ჩვენვე შევცვლით ამ აქტსაო. ამას ამბობდა რუსეთის სოციალ დემოკრატიული პარტია ჩვენში, რომელიც მხოლოდ 26 მაისის შემდეგ გადაკეთდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიად.

ასე მუშაობდა პარტია, რომელიც იმეორებდა, როგორც ლიუდოვიკო XIV-ს, ისე ნაპოლეონ ბონაპარტეს სიტყვებს—„სახელმწიფო—მე ვარ!“-ო. სოციალ-დემოკრატია მუდამ გვიმტკიცებდა: ქართველი ხალხი ჩვენ ვართო! თუ გნებავთ ჩვენი ქვეყნის უბედურებაც სწორედ ამაშია, საქართველოს საქმეები ხელში ჩაიგდო პარტიამ, რომელსაც ეს საქართველო მიაჩნდა შემთხვევითი პირობების გამო შექმნილად, და რომელიც მუდამ ისე იყურებოდა სხვის ტყეში, როგორც მშიერი მგელი.

განა ეს უდიდესი ცოცხალი ძალა საქართველოს აყვავებდა, როგორც სახელმწიფოს, ხოლო ხალხს გაამდიდრებდა, გაამაგრებდა, აღზრდიდა მასში დამოუკიდებელ ცხოვრების ყოველ ძალას?

ჩვენ სისტემატიურად მივუთითებდით სახელმწიფოებრივს პარტიას, როგორც საკანონმდებლო, ისე ბეჭდვითი ორგანოებში იმ ძირითად ხასიათის სიყალბეზე, რომელნიც ქმნიდნენ საქართველოს უბედურებას. მუდამ რჩებოდა ჩვენი ხმა ხმად მღაღადებლის უდაბნოს შინა.

ჩვენი ცხოვრებისათვის ორი გარემოება იყო უმთავრესი: 1, რომელიც ამომდინარეობდა ჩვენი მეზობლიდან, 2, რომელიც ზოგადი, ობიექტიური ხასიათი ჰქონდა.

წინადაც და ეხლაც ბევრს გონია, თითქოს ეროვნული თავისუფლების ფორმა დამოუკიდებელი სახელმწიფოა, სეპარატიზმია. ეს არის უდიდესი შეცდომა. პირიქით, ეროვნული დამოუკიდებლობა ერის თავისუფლების ყველაზე ცუდი ფორმაა, სეპარატიზმი—იმპერიალიზმის ბუდეა, სეპარატიზმია სისტემატიური ომის აკვანი, სეპარატიზმია ხალხის გამცლეტი და ამწიოკებელი. 3 წლის განმავლობაში, რაც საქართველო დამოუკიდებელი იყო, ჩვენ არ ვიცით არც ერთი სამი თვე, რომ გაგვეტარებინოს უომრად, აჯანყების გარეშე. ომი კი, მით უფრო სისტემატიური ომი, თვით აღა მაჰმად ხანის რეჟიმზე უარესია.

როცა ამერიკა იბრძოდა ეროვნულ თავისუფლებისათვის გიორგი ვაშინგტონი და ბენიამინ ფრანკლინი ფედერაციას ქადაგებდნენ და 13 შტატი შეკრეს ერთს კავშირში, ერთს უღელში გააბის და ძმურად მოაწყვეს ცხოვრება. ამნაირად თანამედროვე ამერიკის ძლიერებაც შექმნა არა სეპარაციამ, არამედ ფედერაციამ. გერმანია აღადგა ბისმარკის და ვილჰელმ I-ის მოღვაწეობით კი არა, არამედ გერმანული კავშირის, ფედერაციის შემწეობით. ფედერაცია უღრმესი რწმენა იყო ჩვენი პარტიისათვის და თუ 1918 წლის 26 აქტს ამშვენებს ჩვენი წარწერებიც ეს მოხდა იმ უბრალო მოსაზრებით, რომ მაშინ, 1918 წელში, არ შეიძლებოდა სხვა აქტის არსებობა.

საქართველოს ეროვნული თავისუფლება საბოლოოდ განმტკიცდება ფედერაციით. ჩვენი მიზანი ეხლაც ფედერაცია, სეპარატიზმიდან ჩვენ ფედერაციისაკენ უნდა წავიდეთ.

ხაზ გასმით მოვაგონებ ამხანაგებს: სეპარატიზმი იმიტომ კი არ უარყვია ჩვენი პარტიის დამაარსებლებს, რომ მისი განხორციელება რუსეთის რეჟიმის გამო ოცნება იყო, არამედ თეორიულად შემეცნების გამო. ჩვენ ფედერალისტები ვართ მთელის მსოფლმხედველობით მოძღვრებით, არსებით.

ნორმალურს პირობებში ფედერალიზმის ხალხი უარყოფს დამოუკიდებელს სახელმწიფოს, ვინაიდან მთელს თანამედროვე კაპიტალისტურ ცხოვრებაში ყოველი სოციალისტური პარტიის და მოძღვრის მიერ მიღებულია ფედერაცია, როგორც საუკეთესო ფორმა ერის თავისუფლებისა, მშვიდობიანი ცხოვრებისა.

ჩვენი პარტიის ორგანოების მუშაობაში ამ თვალსაზრის, რასაკვირველია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

თვითონ საქართველოს სახელმწიფოებრივ აპარატის მუშაობა ჩვენ ყოველთვის გვაშინებდა. სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელმაც ხელში ჩაიგდო საქართველოს რესპუბლიკა თავისი დიპლომატია ისე მოაწყო, რომ მთელი თავისი ორიენტაცია დაამყარა ევროპის სახელმწიფოებს, ანტანტას, ხალხთა ლიგას და მეორე ინტერნაციონალს.

1918 წლიდან, რაც ფორმალურად ანტანტამ გაიმარჯვა, ჩვენს ქართულს პრესაში, რუსულადაც, დამფუძნებელს კრებაშიაც მუდამ ვამტკიცებდით—ანტანტას გამარჯვება არაა ნამდვილი გამარჯვება, გაიმარჯვა მხოლოდ ამერიკის ტანკებიანმა ჯარმა. საკმარისი იყო ამერიკის გაჩუმება, რომ ანტანტას ყველგან ომი წაეგო. ანტანტამ რევოლიუციონური ჯარის დამარცხებაც ვერ შესძლო, თუმცა რუსეთს ისევე დესია ევროპის ჯარები, როგორც 1792 წლიდან საფრანგეთს ავსტრიის, ინგლისის, პრუსიის და სხვათა ჯარები. განა ჩვენ არ ვხედავდით 1920 წელს, რომ აღმოსავლეთში იაპონელების და ჩეხო-სლოვაკების ავანტიურა კატასტროფით დამთავრდა? განა უკრაინაში დესპერეს ჯარი და ფლოტი არ დამარცხდა? განა პეტროგრადის და არხანგელსკის მიმართულებით ინგლისის გენერლები არ მოქმედებდნენ? განა კავკასია ანტანტამ ზონებად არ დაიყო?

რომელი თავისი მიზანი განახორციელა ანტანტამ?

როგორადაც არ უნდა მოგვეწონდეს ფაქტი, სინამდვილეს დანახვა ყოველ სერიოზულ პოლიტიკოსისათვის „სავალდებულოა.

ამავე დროს ეკონომიურად ანტანტა განიცდიდა და დღესაც განიცდის საოცარ კრიზისს.

ყველივე ეს ვერ დაინახა საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ, რომელიც ბრმად მისდევდა ანტანტას, ჩვენგან იგზავნებოდნენ ევროპაში საინფორმაციოდ ისეთი ხალხი, როგორიც იყვნენ წერეთელი, ჩხეიძე, ჩხენკელი, ან ნიკოლაძე და სხვები, რომელნიც ბოლშევიკებზე გაბრაზებულები იყვნენ და რომელთაც არც შეეძლოთ მიუდგომელი დამოკიდებულება შეედგინათ ყოველ იმაზე, რაც შეეხებოდა ბოლშევიკებს და რუსეთს. რუსეთის ყოფილი უერთგულესი მეგობრები გადავარდნენ მეორე უკიდურესობაში და აღმართეს სიძულვილის დროშა. მათი მოგზაურობა ევროპაში, საუბარი ლლოიდ-ჯორჯთან, კლემანსოსთან, შეხვედრანი მეორე ინტერნაციონალის ძალებთან, ჩვენ მხოლოდ გვიმტკიცებდა მათ საარაკო ცალმხრიობას და დალტონიზმს. 1917 წლის რევოლიუციას რუსეთში მოჰყვა 1918 წლის რევოლიუცია გერმანიაში. გერმანიის რევოლიუციის ორიოდე თვის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი გერმანიიდან დაბრუნებული საქართველოს „საუკეთესო" დიპლომატად ცნობილი ევგენი გეგეჭკორი ქვეყანას არწმუნებდა: გერმანიაში ყოვლად შეუძლებელია კაიზერის რეჟიმის შეცვლაო და, ამხანაგებო, ასეთ სწორ და ნამდვილ ინფორმაციას გვაწვდიდნენ მენშევიკების ბრძენი დიპლომატები.

მენშევიკების ამ ძირითად შეცდომებს ჩვენ მუდამ აღვნიშნავდით, ჩვენი პრესა მათ პრესას მუდამ აფრთხილებდა ამ მხრივ.

მენშევიკები დაუსწორებელნი იყვნენ. ლლოიდ-ჯორჯიდან გენერალ ალექსეევისაკენ, გენერალ ალექსეევიდან ლლოიდ ჯორჯისაკენ—აი პოლიტიკური გეზი გეგეჭკორის დიპლომატიისა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი ტრაგედიის პასუხისმგებლობას ჩვენ მარტოდ მარტო მენშევიკურ პარტიას ვაკისრებთ. როგორც პარტიულ-პოლიტიკური, ისე პარტიულ-სოციალისტური, აგრეთვე როგორც წმინდა სახელმწიფოებრივი ძალა—მენშევიზმი საშინლად „გაკოტრდა", ჩვენ მხოლოდ იმას-და ვსტირით, რომ მენშევიზმის სიწამხდრე საზიანო იყო თვითონ საქართველოსათვის.

როცა დაიწერება მრავალი ტომი საქართველოს 3 წლის ისტორიისა, მაშინ ყველა დაინახავს იმ უბედურ რეჟიმს, უბედურ „ხალხს", რომელიც ყოველთვის სიბრძნეზე ლაპარაკობდა, მაგრამ რომლის ნებისყოფა, ჭკუა, საქმიანობა არ გასცილებია არსებითად სერჟანტების გმირების ჭკუასა და გონებას.

ეხლავე უნდა განვაცხადოთ; ამხანაგებო, ჩვენი სისტემატიური ბრძოლა მენშევიზმთან, მენშევიკური სიწამხდრესთან გვაძლევს სითამამეს, იმედს, სასოებას, რომ ამ საერთო გაჭირვების ხანაშიაც ჩვენ მიერ წარმოებული პოლიტიკა მოვიწონოთ და საკუთარი გამართლებული გეზის გამო ერთგვარი კმაყოფილობა ვიგრძნოთ. კიდევ მეტის სითამამით უთხრათ ქვეყანას სიმართლე და მივსცეთ სასარგებლო რჩევანი.

(შემდეგი იქნება).

ახალი ამბები

— კვირას; ოქტომბრის 30, საღამოს გაიხსნა სოც.-ფედერალისტთა პარტიის ყრილობა.

— დღეს სახალხო სახლში „პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს ქართული დრამატიული დასი ხსნის სეზონს. წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი" ნიკო გოცირიძის რეჟისორობით.

— ოქტომბრის დღესასწაულებისათვის ყველა თეატრები და კინემატოგრაფები მოაწყობენ რამდენიმე უფასო წარმოდგენას და სცენებს ტფილისის გარნიზონის წითელ არმიელების სასარგებლოთ.

— მოსკოვიდან იცნობებიან რომ ნოემბრის შუა რიცხვიდან მოსკოვში გაიხსნება რუსული თეატრი წითელ არმიელებისათვის. თეატრი დაიტევს 2,000 კაცს, სადაც წარმოდგენილი იქნება მეცნიერული კლასიკური და რევოლიუციონური პიესები, ითამაშებენ მხოლოთ წითელ არმიელები, რომელთაც დაუმთავრებიათ დრამატიული სტუდიის კურსები სამხედრო ნაწილებთან. თეატრს ეყოლება თავისი საკუთარი სამხედრო ხორო და ორკესტრი. აგრეთვე თეატრები გაიხსნება რუსეთის ყველა დიდ ქალაქებში.

— ახალ-ქალაქის და უჯარმის აგარაკებში სოფ. საგარეჯოში გაჩნდა ტყის ცეცხლი 14 ვერსის მანძილზე. ხდება მობილიზაცია ადგილობრივ მცხოვრებთა ცეცხლის დასაქრობათ.

ქართველ მწერალთა გათიშვისათვის

ის ბრძოლა, რომელიც წარმოებდა ქართველ მწერალთა შორის დიდიდან კავშირის დაარსებისა მწერალთა მესამე კონფერენციის დასასრულზე ერთი ჯგუფის წასვლით გათავდა.

ეს ჯგუფი აქტიურ მონაწილეობას იღებდა კონფერენციის ყველა მუშაობაში, ხოლო როცა არჩევნებში დამარცხდნენ, განაცხადეს ამიერიდან ჩვენ კავშირში ვერ დავრჩებითო.

ვინც თვალყურს ადევნებდა ქართველ მწერალთა პოლემიკას ამ უკანასკნელ თვეებში მაინც მისთვის აშკარაა თუ რატომ მოხდა ეს გათიშვა. ეს ბუნებრივი იყო. ჩვენ ვფიქრობთ: ლიტერატურული მიმდინარეობათა სხვაობა არ არის ისეთი დაბრკოლება, რომელიც შეუძლებლად ჰქმნიდეს მწერალთა საზოგადოებაში თანამშრომლობას. ეს რომ ასე არ იყოს დღესაც კავშირში სულ სხვა და სხვა ჟანრის მწერლები მუშაობენ ერთად. ამ დღეებში რუსულ „ცენტრალურ ბიულეტინებში" ვკითხულობთ ინიციალებ მოწერილ პატარა შენიშვნებს: მწერალთა ყრილობის მუშაობის დროს ზოგიერთებმა მოინდომეს პოლიტიკური ხასიათი მიეცათ, ამიტომ ერთი ჯგუფი წმინდა ესთეტიური ორიენტაციის მქონე, გამოეთიშა მწერალთა კავშირს.

რას ნიშნავს ეს დღევანდელ პირობებში, თუ არა დასმენას? რატომ ქართულ პრესაში არ გაუშვეს ასეთი შენიშვნა განდგომილებმა? მათ კარგად იციან, რომ ქართულ პრესაში ეს რომ დაეწერათ ყოველი რიგიანი ქართველი შესაფერ მკაცრს დასდებდა ასეთ ინსინუაციებს.

ჩვენ ასეთ დასმენის არ გვეშინია. მხოლოდ სირცხვილი თქვენ

გამოდის, რომ კავშირიდან გასულნი იმდენად აფასებენ თავიანთ პოლიტიკურ პრესტიჟს, რომ იძულებულნი არიან დასტოვონ კავშირი.

უკვე მზადაა კონფერენციის ოქმები, ვისაც ეს აინტერესებს მობრძანდეს მწერალთა სახლში და გადაათვალიეროს იგი.

რამ გააცეცხლა გამოთიშულები?

სარევიზიო კომისიამ აღმოაჩინა დეფექტები ბუხჰალტერიის წარმოებაში (დელიკატურად რომ ვთქვათ);

ბუხჰალტერიის არევაში ბრალი დაედო განსაზღვრული ჯგუფის წარმომადგენლებს. აქ გამოიჩინა უებარი სიბრძნე: თურმე პოეტს არ მოეთხოვება ფულის ანგარიში. ერთმა უებარმა ბრძენმა განაცხადა: ასი ათასი მანეთი რა ბედენაა ისეთი კაცისთვის, რომელიც ორას ათასს „დოლიტუკში" აძლევსო.

რაც შეეხება ძველი საბჭოს იდეურ მუშაობას, აქ ძველი საბჭოს ზოგიერთ წევრთა საგულისხმოდ ითქვა, რომ ქართველი მწერლის ტრადიცია მოითხოვს რომ ვერავინ გაბედოს ეროვნულ შტრაიკბრეხერობის გაწევა. ეს იყო ეს.

მაგრამ გათიშულნი მაინც განაგრძობენ „სფეროებში" რბენას და განათლების კომისარიატის კულუარებში ჩურჩულს. „საეჭვო პოლიტიკური რეპუტაციის" ბრალმა პირი შეჰკრა რობაქიძე-ტაბიძე-იაშვილის წინააღმდეგ და ისინი იძულებული გახდნენ კავშირიდან გასულიყვნენ.

გახსოვდეთ ბატონებო: იეზუიტურმა ბრძოლამ არასოდეს ისე არ უნდა გაგიტაცოთ, რომ ელემენტარული ეთიკის საზღვრები გადალახოთ თორემ ბოლოს თქვენ თვითვე შეგრცხვებათ თქვენი საქციელისა.

მეტი ინტელექტუალური არისტოკრატობა მოეთხოვება მწერალს.

მწერალთა საბჭოს წევრი.

მუშათა ცხოვრება

ჩვენი სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესს ეტყობა ცხოველმყოფელობა: ხდება სრული რეორგანიზაცია დაწესებულებებში, ხდება შტატების შემცირებაც და ამასთანავე საქმის სისტემაში მოყვანა და აშკარა ხდება ყველა ამაებიდან, რომ ჩვენი ხელისუფლების ინტერესი და მთელი ყურადღება გადახრილია წარმოების აღორძინებისა და მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცვისაკენ.

მიუხედავად ყველა ამაების, შემჩნეულია, რომ ყველა ნაწილში მშრომელი ხალხის ინტერესებისა არ არის დაცული და ჩვენ ვფიქრობთ, რომ დაშვებული დეფექტები უსათუოთ მიეწერება აჩქარებულ მუშაობის შედეგს. ჩვენი სურვილია მკითხველის ყურადღება მივაქციოთ მუშათა კლასის კულტურულ მოთხოვნილებას:—ყველას მოეხსენება, რომ საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი ყურადღება მიმართულია საზოგადოდ სწავლა განათლებისაკენ, რომლის უდიდესი შრომის ნაწილი ვრცელდება მშრომელებზე და განსაკუთრებით კი მუშათა კლასზე. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ვერ მოხერხდა და სათანადო დონეზე ვერ დადგა სოციალისტური ლიტერატურის გამოცემის და გავრცელების საქმე—ამას ზედ ერთვის სხვა მხარეებიც, როგორც არის, მაგალითად, ხელოვნება. დღიდან გადატრიალებისა საქართველოში, ხელოვნების აღორძინებისა და მისი მუშათა კლასის სასარგებლოდ გამოყენებისათვის, ენერგიული და შეუჩერებელი მუშაობა სწარმოებს და ვამეორებთ, მიუხედავად ამისა ჩვენ, მუშები, ცოცხალი ფაქტის წინაშე ვდგევართ;—დაიწყო სეზონები და საგრძნობი ნაწილი მშრომელი ხალხისა—თეატრების გარეშე რჩება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იქ, სადაც ვრცელდება საბჭოთა ხელისუფლება—ჩვენ გვითხრან და მიგვითითონ—აი, ეს „მუშათა თეატრებია" და ეს კიდევ „ბურჟუებისათო" ვინც დღეს ჩვენ ამას გვეტყვის, სჩანს ის ჩვენ პლანეტაზე არა სცხოვრობს. ის პატარა აუდიტორიები და ეგრედ წოდებული „აგიტპუნქტები", რომლებიც მოწყობილია სხვა და სხვა უბნებში და რაიონებში იგი ვერასოდეს ვერ დააკმაყოფილებს კულტურულ მოთხოვნილებას სავსებით და მუშათა კლასის გათვითცნობიერების საქმეს დადებითი შედეგებს ვერ მოუტანს. არის კიდევ ისეთი განათლების ტაძარი, რომელსაც მუშათა კლუბი ეწოდება, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ დღიდან რევოლიუციისა, მიუხედავად იმისა, რომ მასზე დიდი შრომა და ფული დაიხარჯა, მისი საქმე დღევანდლამდე სისტემაში ვერ იქმნა მიყვანილი ისე, რომ მისი შინაარსი მუშათა იდეურ მიმართულებას და მიზნებს ეკუთვნოდეს.

ტფილისის ცენტრალური მუშათა კლუბის ხელმძღვანელები კი, ალბად, ფიქრობენ, რომ დროგამოშვებით მოწყობილი უშინაარსო საღამოები და გაზვიადებული პროჟექტორის ლენტები—მუშათა კლასის გონებრივ თვითშეგნებას უმაღლეს წერტილამდე ასწევს. კლუბის უშინაარსობას და უსისტემობას ისიც ზედ ერთვის, რომ მუშათა ცენტრალური კლუბი მოთავსებულია ისეთ მიზანშეუწონელ ალაგას, რომელიც ვერასოდეს ქალაქის ცენტრად ვერ ჩაითვლება ისე, რომ ყოველი რაიონის მცხოვრებ მუშებს საშუალება ჰქონდეთ თავისუფლად სიარულისა, თორემ დაუჯერებელი ამბავია მით უმეტეს დღევანდელ პირობებში, როდესაც არ არის ნორმალური მოძრაობა ტრამვაისა, რომ მაგალითად ორთაჭალაში მცხოვრებ მუშებს შეეძლოთ ღამის 10—11 საათის შემდეგ მიხეილის ქუჩიდან სახლებში დაბრუნდნენ და როგორც ზევითა ვსთქვით, საკუთარ რაიონებში კი სერიოზულ არტისტიულ ძალების უქონლობის გამო და ოპერეტკა „არშინ მალ ალან"-ის მოსმენით ვერ დაკმაყოფილდებიან.

საჭიროა ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს ყველა კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოება და განსაკუთრებით კი პროფესიონალურ კავშირთა საბჭო, თორემ ჩვენ ვერ გაგვიგია ყოველ დღიურად ლუკმა პურის მაძიებელმა მუშამ, როგორ უნდა გადაიხადოს სათეატრო ბილეთში 8000—5000 მანეთი? ეს საარაკო ფასებია მუშათა ჯიბეებისთვის, რის მეოხებითაც დღეს მუშები მოკლებული ვართ თეატრს.

ჩვენის აზრით საჭიროა აუცილებლად, რომ მუშებს დაეთმოს კვირაში ორი ან წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი დღე მაინც დაკლებულ ფასებში წარმოდგენები, როგორც დრამა, აგრეთვე ოპერა, რომლის ბილეთებიც განაწილდება მუშებში კავშირების საშუალებით. ეს შესაძლებლობა ბურჟუაზიულ მენშევიკების დროს იყო დაშვებული და ნუ თუ დღეს მუშათა და გლეხთა ქვეყანაში ვისმესთვის საძნელო არის მუშათა კლასის კულტურული ინტერესების დაცვა?

ყველას მოეხსენება ხელოვნების მნიშვნელობა და ამ შემთხვევაში, კერძოდ მუშათა კლასისთვის აუცილებლად საჭიროა მუსიკა, რომელიც შრომისაგან დაღლილ და ნერვებ აშლილ მუშას ამშვიდებს.

ჩვენ მოვითხოვთ დაკლებული ფასების საშუალებით ღირსნი გავხდეთ ხელოვნების ხილვისა.

ასოთ-ამწყობი დ. მ—შვილი.

სპეკულიაცია ჩვენში

საერთოდ ნათელი არის დებულება რომ „ომი" იწვევს განსაკუთრებით მებრძოლ სახელმწიფოთა შორის ეკონომიურ კრიზისებს, ეკონომიურ სისუსტეს, ვინაიდან ამ საერთო შეხლა-შემოხლის ხანაში, სუსტდება წარმოება, ფერხდება საქონლის გაცვლა-გამოცვლის საშვალებანი—და ეცემა მრეწველობა. კიდევ უფრო მეტის ტემპით, მეტის სისწრაფით, ვითარდება ამ საერთო ეკონომიურ გაჭირვების დროს, სხვა მშრომელი ხალხის „მკვლელობისა"—„სპეკულიაცია". ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, რომ ჩვენმა თანამედროვე იმპერიალისტურმა ომმა მის მიერ გამოწვეულ „ეკონომიურ კრიზისებმა ერთის მხრივ, მშრომელი ხალხის მომზადებამ, მეორეს მხრივ, მოგვცა 1917 წლის ოქტომბრის რევოლიუცია რუსეთში, როდესაც მთელი ძალა-უფლება ხელში ჩაიგდო რუსეთის მშრომელმა კლასმა, დაამარცხა ბურჟუაზია და ალაგმა სპეკულიანტები. თვით დაიწყო, სახელმწიფოს ეკონომიური აღორძინება, როგორც ამას მოითხოვდა მშრომელი ხალხის ინტერესები. პოლიტიკურად „თავისუფალი", მაგრამ ეკონომიურათ კიდევ უფრო მეტს გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქართველი მშრომელი ხალხი გმინავდა „სპეკულიაციის" უღელ ქვეშ, მენშევიკების ეკონომიურ პოლიტიკის გამო გაიზარდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს შენობა, ბურჟუაზიულ ელემენტების დაცვა, ვაჭარ სპეკულიანტების თავისუფალი თარეში, მშრომელი მასსის ყვლეფა; აი საერთო სურათი მენშევიკების ბატონობის დროისა საქართველოში. ჩვენ სოციალისტ-ფედერალისტები, ვებრძოდით ამას, მოვითხოვდით სპეკულიანტების ალაგმვას მმართველი პარტიის მიერ, მაგრამ ყოველი ცდა, ყოველი სიტყვა, ყოველი წერილი რჩებოდა „ხმათა მღაღადებლისა, უდაბნოსა შინა" როგორც სხვა მრავალ, საკითხებში, ისე ამ საკითხშიაც. ქართველი მშრომელი, ითმენდა ყოველივეს, უკეთესი მომავლის იმედი მომლოდინე. ქართველმა მშრომელმა შესძლო ბურჟუაზიულ ელემენტებისაგან—ბურჟუაზიულ ხელისუფალთაგან თავის დაღწევა, თვით ჩაიგდო ხელში ძალა უფლება და დღიდან თვით სჭედავს თავის ბედს. დღეს საქართველოში არსებობს მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, რომელმაც საბოლოოდ უნდა მოსპოს ბურჟუაზია, ჩარჩი ვაჭრები-სპეკულიანტები. უნდა ითქვას, რომ კომუნისტურ საქართველოში, კიდევ სათანადოთ მძინვარებს სპეკულიაცია განსაკუთრებით, შეიმჩნევა ეს დაბასოფლებს მაგალითად, შემოდის სოფლიდან სიმინდი. ფასობს ფუთი მაგალითად: 60,000 მანეთი, გამოდის ვიღაც ჩარჩის-აგენტები, ყიდულობენ ერთიანად ბაზარზე გამოსულს, გამოაქვთ მეორე-მესამე დღეს და 80,000 მანეთად აფასებს ფუთს და კიდეც იყიდება ასეთ ჩარჩების წყალობით. გაჭირვებული, მშრომელი ადამიანი კი ასეთ მდგომარეობაში უნუგეშოთ რჩება.

ასეთ საქმეში უდიდესი ბრალი მიუძღვის ადგილობრივ „დაწესებულებებს, რევკომებს; საჭიროა ყურადღების მიქცევა ადგილობრივ დაწესებულებების მიერ და ალაგმვა ასეთ მავნე ელემენტებისა, მაშასადამე: რათა სავსებით გამართლებულ იქნას მშრომელი ხალხის მოლოდინი, საჭიროა სასწრაფოთ ზომების მიღება ვისგანაც ჯერ არს. გაჭირვებულ ხალხს სპეკულიანტების თარეში არ ეპირება.

გრ. ფურცელაძე.

სტატისტიკის მუშაკთა საყურადღებოდ

ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან არსებობს განსაკუთრებული კომისია, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სტატისტიკური ცოდნის გავრცელებას როგორც საზოგადოების ფართო წრეებში, ისე სამმართველოს პრაქტიკულ მომუშავეთა და განსაკუთრებით კი პროვინციელ თანამშრომელთა შორის. ამ ხასიათის მუშაობის საჭიროება ნაკარნახევია ერთის მხრივ იმ გარემოებით, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სტატისტიკის ადგილი ჯერ ისევ ცარიელია—არ მოიპოვება ქართულ ენაზე არც ერთი სერიოზული ნაშრომი სტატისტიკის დარგში, არც ორიგინალი და არც თარგმანი; სტატისტიკა ჯერ კიდევ არ გამოსულა მეცნიერთა კაბინეტიდან ფართო საზოგადოებაში, სადაც სტატისტიკის საჭიროებასა და მნიშვნელობას ან ნაკლებ იცნობენ ან მასზე სრულიად ყალბი წარმოდგენა აქვთ, სტატისტიკის უკუღმართი მემკვიდრეობის წყალობით. მეორე მხრით სამმართველოს პრაქტიკულ მოღვაწეებისათვის საარსებო აუცილებლობას წარმოადგენს თავის [illegible] თეორიულ-დახელოვნება [illegible], ხოლო საზოგადოებისათვის [illegible] დაკვირვების [illegible] მეტი [illegible] შეტანა სტატისტიკის შესახებ. სახელმწიფო სტატისტიკა მხოლოდ ეხლა ეწყობა ახალ ნიადაგზე, იგი სულ ახალი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. საქართველოს სტატისტიკას არა აქვს პრაქტიკულ მოღვაწეობის ტრადიცია და არც ქართული აზროვნება აპყრობდა ამ საგანს დიდ ყურადღებას. ყველაფერი ამ დარგში ახლად არის შესაქმნელი საქართველოს ნიადაგზე.

დასახული მიზნის მისაღწევად კომისიას განზრახული აქვს გამოცემა ქართულ ენაზე მთელი რიგი სპეციალური შინაარსის ნაწარმოებთა, განსაკუთრებით ფართო წრეებისათვის მისაწვდომი, პოპულიარული ხასიათის წიგნაკებისა, როგორც ორიგინალურის, ისე ნათარგმნებისა. ამასთან ერთად, კომისია თავის უმთავრეს დანიშნულებას სთვლის სპეციალურ სტატისტიკური ტერმინოლოგიის დამუშავებას, რომლის საჭიროებასაც მწვავედ განიცდის თვითეულ ნაბიჯზედ ყველა, ვისაც კი შემთხვევა ჰქონია ამ დარგში მუშაობისა.

კომისია გრძნობს რა მთელ სიმძიმეს ამ საქმისას, დარწმუნებულია, რომ დასმული მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების დახმარებით და სტატისტიკის დარგში დახელოვნებულ, მცოდნე და განსწავლულ პირთა შეერთებული შრომით.

ამისათვის კომისია მიმართავს თხოვნით ყველა მათ, ვისაც ახლო კავშირი აქვს სტატისტიკურ მეცნიერებასთან და პრაქტიკულ სტატისტიკურ მოღვაწეობასთან—მოაწოდონ მას სოციალური ნაშრომები, როგორც ორიგინალი, ისე თარგმანები უცხო ენებიდან და სხვა, აღნიშნულ მიზნისათვის გამოსადეგი, მასალები.

ყოველ გვარი დახმარება მიღებულ იქმნება კომისიის მიერ უდიდესი მადლობით, ხოლო შრომა—შესაფერისათ დაჯილდოებული.

მისამართი ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ბროსეს ქუჩა, № 4.

კომისიის წევრები: დ. კარბელაშვილი, გ. ბენაშვილი, მ. ყურჩიაშვილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

ვისაც აქვს რაიმე ცნობა 1914 წლიდან

ნიკოლოზ სიმონის ძე უკლებაშვილის

შესახებ, ვსთხოვ აცნობოს დედას. მისამართი: ელისაბედის ქუჩა, სახლი № 167 ბინა ჩირიხჩიანის. (უკლებოვა) 52

გულ-მწუხარებით მეუღლე ნინო გიორგის ასული, შვილები: სტეფანე, მარიამ, ალექსანდრა და თინა, სიძე ალექსანდრე ივანეს ძე თვარაძე, შვილიშვილები: ელენე სტეფანეს ასული და ეთერი ალექსანდრეს ასული, ქვისლი გიორგი ვასილის ძე კვერნაძე, ცოლის და ელისაბედ გიორგის ასული კვერნაძისა, ცოლის ძმები: დომენტი და ივანე გიორგის ძე არონიშიძეები მეუღლით და შვილებით, ქვრივი ანასტასია ნიკოლოზის ასული არონიშიძისა შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-ამხანაგებს, რომ ოქტომბრის 29-ს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი საზოგადო მოღვაწე მსწავლული ბაღოსანი

არჩილ სტეფანეს ძე დარეჯანაშვილი

გამოსვენება დღეს, ნოემბრის 1 ს, ნავთლუღის სადგურის გასწვრივ რუსთა ახალშენიდან (ივანე ამილის სახლი) დილის 10 საათზე. დაკრძალვა წირვის შემდეგ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 51

საქართველოს ფ-ტ. კომისარიატი აცხადებს

რომ 20 ნოემბერს დილის 12 საათზე ქალაქ ქუთაისში (ტფილისის ქუჩა) ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის შენობაში დანიშნულია შეჯიბრება ქუთაის-ონსა-ქუთაის-ხონის შორის და ქუთაისის ფ-ტ. კანტორიდან სადგურამდე და უკან ფოსტების გადაზიდვას იჯარით გასაცემად. უკანასკნელ პუნქტებ შორის ფოსტის გადაზიდვის ამღებს დაევალება აგრეთვე ქალაქში საფოსტო ყუთების გაწმენდა.

ხონისა და ონის მიმართულებით გაიგზავნება (უკან დაბრუნებით) ფოსტა კვირაში ორჯერ, ხოლოდ ქუთაის სადგურ შორის იქნება გადაზიდული ყოველ დღე.

ამღებთ შეუძლია ფოსტა გადაზიდოს როგორც ცხენებით ისე ავტომობილებით. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გირაოს წარმოდგენა ფულად ან უძრავი ქონების საბუთებით. განცხადება იჯარის პირობების შესახებ მიიღება ფ-ტ. კომისარიატში, და აგრეთვე ქუთაისის, ხონის, ონის, ცაგერის, ალპანის, მექვენის, ლაილაშის, ჭრებალოს და ცესის. ფ. ტ. დაწესებულებებში.

ფ. ტ. სახკომისრის მოად. მაგ. წერეთელი.
განყოფ. გამგე ლაგარეშვილი.